



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ზვარე“



„ზვარე“ (შპს), მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხანა. მდებარეობს სოფ. ზვარეში (ხარაგაულის მუნიციპალიტეტი). წყლის საბადოს პირველი საძიებო სამუშაოები 1933 ჩატარდა, რის შედეგადაც 1934 აღიმართა პირველი მექანიზებული ჭაბურღილი, 1936-იდან კი დაიწყო მინერ. წყლის „ზვარეს“ ჩამოსხმა. ქ-ნა საქართვე. კვების მრეწვ. სამინისტროს რესპ. სახელმწ. სამრეწვ. გაერთიანება

„საქმინხილწყალს“ ექვემდებარებოდა. 1993-იდან მოხდა მისი პრივატიზება და დაერქვა შპს „ჯორჯიან აკვატონი“, 2005-იდან კი გახდა შპს „ზ.“ წლების განმავლობაში საწარმოში რამდენჯერმე ჩატარდა გაფართოებისა და ტექ. გადაიარაღების სამუშაოები. 1950 წ. ჩამოსახეს 1,511; 1970 წ. - 5,450; 1980 წ. - 11,080; 1990 წ. -10,6 მლნ. ბოთლი (0,5 ლ). გამოშვებული პროდუქციის 90% ქვეყნის გარეთ გადიოდა. ძირითადი მომხმარებელი იყო რუსეთი, უკრაინა, მოლდავეთი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკები. 1991-იდან ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტ. და ეკონ. მდგომარეობის გამო მინერ. წყლის ჩამოსხმა მკვეთრად შემცირდა, 1994-იდან კი - თითქმის შეწყდა. 2008 „ზ-ს“ აქციები შეიძინა ბრიტანულმა კომპანია „ტრანსსატი კორპორეიშენმა“ ამერ. კომპანია „ტრაინექსთან“ ერთად. საწარმოში ჩატარებული მნიშვნელოვანი ტექ. გადაიარაღებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების შემდეგ „ზვარეს“ ჩამოსხმა განახლდა 2010-იდან. ქ-ნის საპროექტო სიმძლავრე იყო 40-45 ათ. ბოთლი (ერთი ლიტრი) დღ-ღ-ში (2010). ქ-ნა მონაწილეობდა საერთაშ. გამოფენებში. 2002 „ზვარემ“, როგორც საუკეთესო სამომხმარებლო თვისებების მქონე წყალმა, ჟენევაში - ოქროს, ხოლო 2008 წ. ნიუ-იორკში პლატინის მედალი დაიმსახურა. 2012-იდან მინერ. წყლის ჩამოსხმა შეჩერდა.